ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1259327

ნომერი: AR1216937

თარიღი : 02.05.2014

გაცემის თარიღი : 07.05.2014

გაცნობის თარიღი : 14.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იპოლიტოვ- ივანოვის (ყოფილი ქერჩის), N10 (ნაკვ. 29/68, 29/74) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი მამუკაშვილი პ/ნ 01001002665
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 38 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის (ავტოსადგომის) მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, იპოლიტოვ–ივანოვის ქუჩაზე (ყოფილი ქერჩის) #10 (ნაკვ. 29/74), შ.პ.ს „გოფრატარა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.#029/124), I კლასის მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის (ავტოსადგომის) მოწყობას და ტერიტორიის კეთილმოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს „გოფრატარა“–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.11.05.029.124. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან– რეგ. N 882013495251 01/11/2013წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, იპოლიტოვ–ივანოვის ქუჩაზე (ყოფილი ქერჩის) #10 (ნაკვ. 29/74), შ.პ.ს „გოფრატარა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.#029/124), I კლასის მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის (ავტოსადგომის) მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge